# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ოთხშაბათი 4 მარტი

**ფასი**: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 26 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 26


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


## ქუთაისის ქალაქის ტეატრში

ხუთშაბათს, 5 მარტს, 1915 წ. გაიმართება

## გრიშაშვილის საღამო

ხუთ განყოფილებათ.

I. **დიტო უზნაძე** წაიკითხავს **ხელოვნური შემოქმედების რაობა.**

II. აკაკის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“ ცოცხალ სურათებად (3 სურათი) დასდგამს: კოწია ანდრონიკაშვილი.

III. **ჩიტო შარაშიძე** წაიკითხავს: „**ჩვენი მოზარდი თაობა**“

IV. ქართველ მსახ. ამხ. მიერ წარმოდგენილი იქნება: ვალ. გუნიას ერთ მოქმედ. მხიარული კომედ. **ადვოკატთან** ანუ „**ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ**“

V. **დიდი სალიტერატ. განყოფილება** აკაკი ფაღავა წაიკითხ. ჯ. ჯორჯიკიას ახალ მოთხრობას, ა. იაშვილი წაიკ. ბალმონტის დ საკუთარ ლექს. შ. დადიანი—სადღესო პატარა ფელეტონებს. გ. ტაბიძე და კ. ჭიჭინაძე—საკუთ. ლექს. დ. მესხი—საოხუნჯო შარჟებს, ვ. ბალანჩივაძე—იმერულ სცენებს, დასასრ. ი. გრიშაშვილი—ჯერ დაუბეჭდავ ახალ ლექს.: „ზღაპარი გამაკში“ „ხელთათმანის ღილი“ და „რა კარგი ხარ, რა კარგი!“

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ადგილების ფასი **ჩვეულებრივია.** ბილეთები ამთავითვე ისყიდება **მხოლოდ** თეატრის კასაში ადმინისტრ. ვ. ურუშაძე.


შაბათს დილით ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ანტონ იაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დიდათ მოყვარულნი ძმა მისი **ჯიბო იაშვილი შვილებით და ძმისწულებით და ქვრივი მისი დიდა იუსტინეს ასული იაშვილისა.**

ცხედარს წაასვენებენ ქუთაისიდან საჩხერეს პარასკევს, 6 მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 7 მარტს, სოფელ არგვეთში, საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ხუთ საათზე. კაზაკოვის ქუჩაზე ჯ. იაშვილის სახლში.


**დაკლებულ ფასებში.** **დაკლებულ ფასებში.**

### ქალაქის თეატრი

**ქართველ** მსახიობთა ამხანაგობის მიერ შაბათს, 7 მარტს, **ვალ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორეჯერ ორიგინალური პიესა **დავით კლდიაშვილისა.**

1\. **უბედურება** ტრაგედია ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, 1 სურათად.

2\. ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული **ქრისტინე** ოთხ მოქმედ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

**ძმათა პასხალიდის**

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ხ. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის**: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**კატალოგები უფასოთ** თ.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

**გამოვიდა და იყიდება**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

**ფასი 60 კაპ.** წ.

**კბილის მენადარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი** **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს. ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ბებია** **მ. მ. ცოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 2 მარტი. უმაღ. მთავ. სარდ. შტაბისაგან. პრასნიშის რაიონში მთელ ფრონტზე რკინის გზიდან მლავისკენ მდ. ორჟიცამდი და ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე ჩვენ ბრძოლით წინ წავიწიეთ. გერმანელების კონტრიერიშები ყველგან მოვიგერიეთ. ოსოვეცის არტილერიამ მტრის რამოდენიმე მძიმე ზარბაზანი და ამსხვრია საალყო ბატარეებზე, რომელიც იმყოფება განსაზღვრულ მანძილზე სიმაგრიდან, ვიდრე მდ. ვისლის მარცხენა ნაპირამდი ბრძოლა არ ყოფილა. კარპატებშიაც მდგომარეობა უცვლელია. ავსტრიელების და გერმანელების იერიშები ბალიგრაოდის გზით კაზიუვკასთან 992 მეტრ. სიმაღლეზე ძლეულ იქნა. აღმოსავლეთ გალიციაში ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა. ობერჟინის რაიონში ჩრდილოეთით პერემიშლთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**პეტროგრადი.** 2 მარტი. ოსოვეცის ახლოს მტერმა რამდენიმე ბატარეია სიმაგრესთან მისწია, ალბათ ყუმბარების დაშენის უშედეგობის გამო. ჩვენი სიმაგრის არტილერიამ მტრის კალონას სროლა აუტეხა. რომელსაც, გვონია, ზარბაზნები და სამხედრო მასალა მიჰქონდა. 28 თებერვლიდან, ვიდრე 1 მარტამდი, ბრძოლა ჩვენი სიმაგრის სასარგებლოთ სწარმოებდა. გერმანელების ორი როტა, გონიონძის რაიონში შეეცადა გაყინულ ბობრს დაახლოვებოდა, მაგრამ ძლიერი ცეცხლით იძულებული გახდა დიდი ზარალით ორ-სამ ვერსზე უკან დაეხია.

ოსოვეცის რაიონში ღამლამობით მდ. ბობრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი მზვერავები მტრის დარაჯთ ატყვევებენ. პრასნიშთან გერმანელები სიმაგრეს გაძლიერებული არტილერიის ცეცხლით იცავენ, მაგრამ ქვეითა ჯარი ჩვენს შეტევას ვერ უძლებს, განსაკუთრებით კი ტყიან ადგილებსა და ბრძოლის ველებზე ორჟიცთან მტერი საგრძნობლათ შევავიწროვეთ. მტრის პოზიციებზე ბზურის რაიონში ღამლამობით რაღაც მოძრაობა მოისჩანს. შესაძლებელია, რომ გერმანელები აქ თავის არტილერიას აძლიერებენ. კარპატის მთებზე ყოფნა ამ ჟამათ თითქმის შეუძლებელია, ღრმა თოვლი იერიშების მიტანას აფერხებს, ამასთან ფეხი სხლტება და მრავალი არტილერიის ცეცხლის ქვეშ იღუპება თუმცა, როგორც ჩვენს ჯარისკაცები, ისე მტრისა, წრიაპებს ხმარობენ, მიუხედავათ ასეთი პირობებისა, ავსტრიელები მაინც ცდილობენ პერემიშლე დაიბრუნონ, რომლის ფორტებსაც ჩვენი ბატარეები განუწყვეტლივ ესვრიან.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** დღის ოფიციალური ცნობა. ბელგიის ჯარის წინ წაწევა ლომბინიდან, იზერიდან და დიქსმიუდენის სამხრეთიდან გრძელდებოდა. ინგლისის ჯარი გაათრებულ იერიშებს შეხვდა. გუშინ, საღამოს, სენტელუასთან, იპრიდან სამხრეთისკენ, ჯერ რამდენიმე მანძილზე უკან დაიხია, შემდეგ კონტრიერიში მიიტანა და მტერს წაართვა ნაწილი იმ ადგილისა, რომელიც წინათ მტერს ქონდა დაჭერილი, ბრძოლა გრძელდება, ნევშაპოლის რაიონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. არგონის სიმაღლეებზე, მტერმა მესამეთ მოახდინა კონტრიერიში თხრილების აღების მიზნით, მაგრამ ფურდეპარისა და ბოლანტის შუა ეს იერიში, წინანდებურათ, მოგერებულ იქნა.

**ლონდონი.** 2 მარტი. სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ გუშინ შუადღის შემდეგ მტრის შეუპოვარი იერიში სუსტი გამოდგა. ყველა კონტრიერიში მოგერებულ იქნა. დახოცილთა რიცხვი დიდია. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1720-დი. გერმანელებმა სამი დღის ბრძოლის განმავლობაში 10000 ჯარის კაცი დაკარგეს. 1 მარტს, დილით ჩვენმა ჰაეროპლანებმა, სადგურ დონზე ორთქლ-მავალი ააფეთქეს.

**პარიზი.** 1 მარტი. ოფიციალურ ცნობაში დაწვრილებით არის აღწერილი, 15 თებერვლის, ბრძოლა, რომლის დროსაც ფრანგებმა სოფელ ვოკუას სიმაღლე და იჭირეს. ენკენისთვის ბოლოს ფრანგებმა სოფელი ვოკუა აიღეს და შიგ გამაგრდნენ. ამ სოფელს გერმანელებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სადარაჯო პუნქტს. შემდეგ ფრანგები იძულებულნი შეიქნენ უკან დაეხიათ. 17 თებერვალს, ფრანგებმა იერიშები განაახლეს, შევიდნენ სოფელში და გამაგრდნენ.

**ბუქარესტი.** 1 მარტი. ბრატიანუს დაჟინებით, კოსტინესკომ უკან წაიღო თავისი თხოვნა, სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### ბაჟის გაუქმება.

**სტოკჰოლმი.** 1 მარტი. ლიუკსემბურგიდან იტყობინებიან, რომ ლიუკსემბურგის პალატამ მთავრობას დაავალა ჩამოართვას ყველას ზედმეტი სურსათ-სანოვაგე, ამას გარდა აკრძალულია ხორბლეულობის ხმარება სპირტის გამოსახდელათ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიაში შაქარზე შეტანის ბაჟი გაუქმებულია, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ გერმანიას ზედმეტი შაქარი აღარ მოეპოვებათ.

**სტოკჰოლმი.** 2 მარტი. შვეციის გემის „ხანის“ ჩაძირვამ მთელი პრესა აღაშფოთა. კოოპერატიული გაზეთები, რომლებიც გერმანიას თანაუგრძნობენ, რაც შეიძლება ცდილობენ საერთო აღშფოთება დაამშვიდონ იმ განცხადებით, რომ შვეციის გარეშე საქმეთა სამინისტროს ჯერ ამის შესახებ ცნობა არ მიუღიაო. ლიბერალური გაზეთი „სტიდნინგენი“ არც კი ეჭვიანობს და ამბობს: მიუხედავათ იმისა, რომ გემს ნეიტრალური სახელმწიფოს ნიშნები ჰქონდა, გერმანიის ნაღმმა გაუფრთხილებლათ ჩ ძირაო. გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ გერმანიის წყალქვეშა მავალ ნავებიან ალყას გერმანიისაგან საერთაშორისო უფლების უპატივცემლობით ხსნის.

**ლონდონი.** 2 მარტი, ოფიციალურათ იტყობინებიან. 7 გემიდან, წყალქვეშ ნავების თავდასხმის დროს, 5 ჩაიძირაო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

### „გებენი“ და „ბრესლაუ“.

ბულგარეთის პრესის ცნობით, სტამბოლში ყოველთვის, როცა კი „გებენი და ბრესლაუ“ ბოსფორიდან გამოდიან, ბრძანება იცემა, რომ არც დეპეშა და არც არავითარი წერილი არც ერთ მხარესკენ არ გაიგზავნოს. ეს ხდება იმ მოსაზრებით, რომ, როგორმე დაფარონ ესკადრის კურსი. „გებენი“ და „ბრესლაუ“ მარტო კრიტიკულ მომენტის დროს მოქმედებენ, იმ დროს, როცა მათი სროლა ერთგვარ ეფექტს გამოიწვევს. გამოანგარიშებულია, რომ „გებენის“ საუკეთესო ზარბაზანს შეუძლიან, სულ ბევრი,—300 ყუმბარა გაისროლოს და, რადგანაც ყუმბარების მოტანა ახლა ძლიერ ძნელია ოსმალეთში, ამიტომ კრეისერების კამანდა ძლიერ ფრთხილათ იქცევა.

### გერმანიის ჯარში.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ დანიაში მისულ გერმანელ დეზერტირის გადმოცემით, პირობები, რომელშიაც გერმანიის ჯარს ბრძოლა უხდება, წარმოუდგენელიაო. მიუხედავათ იმისა, რომ მე თვითონ ხელში და მკერდში ვიყავი დაჭრილი, ექიმებმა ნება არ მომცეს თხრილი დამეტოვებიაო. ჩემ პოლკში 2500 ჯარისკაცი და აფიცერი მოჰკლეს და დანარჩენი კი ან დაიკარგენ უკვალოთ, ან და დაიჭრენ. შლეზვიგის დანარჩენ პოლკებსაც ასეთი ბედი ეწვიათო.

—

იქიდანვე იტყობინებიან: პრუსიის ლანდტაგის ერთ-ერთ სხდომაზე, ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ გერმანელები თავიდან დარწმუნებული იყვნენ, რომ ავსტრიას ერბიაზე გაიმარჯვებდაო. ახლა კი ავსტრია ძლიერ სუსტი გამოდგა. ამ განცხადებას ლანდტაგის ყველა წევრი ტაშის ცემით შეხვდა, თუმცა ლანდტაგის სხდომის ოფიციალურ ანგარიშში ამ ინ-

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

პრასნიშის რაიონში გერმანელების ყველა კონტრიერიში მოგერებულ იქნა.

ომორჟინის რაიონში, პერემიშლთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

ოსოვეცის რაიონში რუსის მზვერავები მტრის დარაჯთ ატყვევებენ.

პრასნიშთან გერმანელები სიმაგრეს არტილერიის ცეცხლით იცავენ.

კარპატეების მთებზე იერიშების მიტანას ძლიერი ქარბუქი ხელს უშლის.

ავსტრიელები პრემიშლეს დაბრუნებას ცდილობდენ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ბელგიის ჯარი იზერისა და დიქსმიუდეს სამხრეთით წინ მიიწევს.

ინგლისის ჯარმა გერმანელების კონტრიერიში მოიგერია.

არგონის სიმაღლეებზე გერმანელები ცდილობენ თხრილების დაბრუნებას.

ინგლისის ჰაეროპლანებმა სადგურ დონზე ორთქლმავალი ააფეთქეს.

ციდენტის შესახებ არაფერი სწერია.

გაზეთების ცნობით, ლონდონში შედგა ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და სხ. სოციალისტთა წარმომადგენლების კრება. მისი მოწვევის თაოსნობა ეკუთვნის ინგლისელებს. კრებაში მონაწილეობას ღებულობდენ სოციალისტი მინისტრები— ვანდერველდე და სამბა. ხოლო გედი ავათმყოფობის გამო ვერ დაესწრო კრებას, მარა როგორც სჩანს, კრების ნამუშევარი მოუწონებია და დაუდასტურებია. კრებაზე ფრანგები და ბელგიელები შეურიგებელ შეხედულებას იცავდნენ, ხოლო ინგლისელებს მეტი პაციფისტური მიდრეკილება ეტყობოდათ. შეთანხმებით მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ომის პასუხისმგებლობას იმპერიალიზმის და გაფართოების პოლიტიკას აჭებს თავზე. პასუხისმგებელია ყველა სახელმწიფო, მარა ყველაზე უფრო დამნაშავეა გერმანიის იმპერიალიზმი, რომლის გამარჯვება მოასწავებს ევროპის დემოკრატიის და თავისუფლების დაღუპვას. ცხადია, ამ ქვეყნების სოციალისტნი ებრძვიან გერმანიის კავშირის მთავრობებს და არა გერმანელ და ავსტრო-უნგრეთელ ხალხთ. ამასთანავე რეზოლიუცია ბელგიის განთავისუფლებას და მისი ზარალის ანაზღაურებას თხოულობს. ევროპის ხალხებმა ელზასლორენიდან ბალკანეთამდე, რომელნიც ძალით არიან განაწილებული სხვადასხვა სახელმწიფოში, უნდა მიიღონ უფლება თავის ბედის თავისუფლად გადაწყვეტის. მოკავშირეთა გამარჯვება უნდა იქნეს ხალხური თავისუფლების გამარჯვება. ხოლო ომის გათავებისას ყველა ქვეყნის წოდებათა წარმომადგენლებმა უნდა მოიყარონ თავი და საერთო ძალ-ღონით მოსპონ

— რასაკვირველია, თქვენ წერა-კითხვა გეცოდინებათ. უმისოდ ჩემ მაღაზიაში თქვენთვის საქმე არ იშოვებაო. ნიკოს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. საქმე ჩაიშალა...

ნიკო ახლაც თავგამოდებით გეტყვისთ:

— ის მამა, მამა არ არის, რომელიც შვილს ორ კლასიან სასწავლებელს მა-

საიდუმლო დიპლომატიის გავლენა. ასეთია მოკლეთ რეზოლიუციის შინაარსი. ეს უთუოთ დამახასიათებელია საერთო იმ ქვეყნების დაბალ კლასთა სულიერ განწყობილების, რომელთაც წარმოადგენდენ სოციალისტები, ამ მხრით მისი მნიშვნელობა დიდია.

საყურადღებოა აგრეთვე გერმანიის სოციალური დემოკრატიის შინაგანი ცხოვრების ცვლილებანი. როგორც ვიცით, პარტიის ფართე წრეები თავისი პარლამენტარული წარმომადგენლებ-ს ამ პირით ომის პოლიტიკას მიემხრენ და ახლაც არ უარყოფენ მას აშკარათ. მარა რაც ხანი გადის მით უფრო მატულობს და ძლიერდება ოპოზიცია ასეთი მდგომარეობის წინაამდეგ. ძნელია იმის თქმა გაიმარჯვებს თუ არა მალე ოპოზიციონური მიმდინარეობა. ხოლო გერმანიის ხალხში რომ მილიტარისტული გატაცების ხანა ილევა, ეს ცხადია. ამის მაჩვენებელია გერმანიის უძლიერესი ხალხური პარტიის გაძლიერებული თვითკრიტიკა ომის კითხვებში.

**ავსტრია და იტალია.**

როგორც „დოიტშე ტაგესცაიტუნგი" იტყობინება, ავსტრო-უნგრეთს იტალიისთვის ტრიენტის დათმობის შესახებ თანხმობა გაუცხადებიაო. გაზეთი თავის აზრით უმატებს, ამ კუთხეს ავსტრიისთვის მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ტრიენტის დათმობის შემდეგ ამ ორ სახელმწიფოს შორის მოსპობა ამდენი ხნის უთანხმოებაო, დასძენს გაზეთი.

— —

გაზეთ „დენს" დეპეშით აცყობინებენ ბუქარესტიდან: ბულგარეთის საქციელი, დიდ შიშს იწვევს ავსტრიაში: ბულგარეთი დიდ ჯარს აგროვებს ტირნოვთან და 17 თებერვლიდან ავსტიის არც ერთ ნოტას არ უპასუხებსო.

**ბულგარეთი.**

„ნოვ. ვრემიას" დეპეშით აცყობინებენ სტოკჰოლმიდან: პარიზის მცოდნე წრეებში ფიქრობენ, რომ საბერძნეთის მაგივრათ ბულგარეთი გაჰყვება სამთა შეთანხმებას, რადგანაც დღევანდელი მომენტი საუკეთესოა ფრაკიისა და კავალას მისაღებათო. კერძო ცნობებით, ბულგარეთში კაბინეტის კრიზისი იწყება, რომელიც ძლიერ წააგავს საბერძნეთისას. როდოსლავოვს სურს ადრიანოპოლის დაკავება და მეფე ფერდინანდი კი ამის წინაამდეგია.

—

თათბირი დარდანელზე ყუმბარების დაშენის გამო.

კონსტანტინეპოლიდან ბუქარესტს დეპეშით აცყობინებენ, რომ სასახლეში ფონდერგოლც-ფაშისა, ფონსანდერსისა და სხვა მაღალ პირთა მონაწილეობით მინისტრთა საბჭოს კრება შესდგაო. საბჭო მოწვეულია მოკავშირეთა ფლოტის მიერ დარდანელზე ყუმბარების დაშენის გამო. ფონდერგოლც-ფაშამ თავის ვრცელ სიტყვაში განაცხადა, რაც შეიძლება ფრთხილათ უნდა მოვიქცეთო. გერმანიის სამხედრო საელჩო ყველა ღონის ძიებას იხმარს, რათა ინგლის-საფრანგეთის ფლოტს შეძლება არ მისცეს, რომ მარმარილოს ზღვაში შევიდეს. თუ მტერი მარმარილოს ზღვაში შევა, მაშინ აზრი აღარ ექნება ჩვენს წინააღმდეგობას კონსტანტინეპოლში მათი შემოსვლის დროს. სატახტო ქალაქიდან უნდა გადავიტანოთ ყველა ის, რაც კი საჭიროა, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც სხვები მოიქცენ, თუმცა ამით არ გათავდება ოსმალეთის ომი, რადგანაც გადამწყვეტი ბრძოლა მოსალოდნელია მთა ველებზე, ევროპაში, სადაც გერმანია და მისი მოკავშირენი ზავის პირობებს მოითხოვენ. პატარა აზიის შიგნით ოსმალეთის მთავრობის გადატანა ოსმალეთის ომის გათავებას სულაც არ გამოხატავს, მით უფრო, რომ კონსტანტინეპოლის ოკუპაცია, დროებითი იქნებაო.

მთავარი ვეზირი ფონდერგოლც ფაშას ეთანხმება და ამბობს, რომ ოსმალების წინააღმდეგობა გალიპოლში შეუპოვარი იქნებაო.

ენვერ-ფაშა ფონდერგოლცის წინააღმდეგია, რომელიც ამბობს, რომ საჭიროა კონსტანტინოპოლის მიდამოებში წინააღმდეგობის გაწევა, სადაც მტრის უმთავრეს ძალებს თავი აქვთ მოყრილი.

საბჭო ჯერჯერობით ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა დარდანელში მოკავშირეთა ფლოტის მოქმედების საწინააღმდეგოდ.

## მოწოდება მუსულმანებისადმი.

გაზეთ „სედაი ხაკში" დაბეჭდილია მუსულმანთა კავშირების დამაარსებელის ალა ხანის მოწოდება შემდეგი შინაარსისა:

— ძლიერ ვწუხვარ, რომ გერმანიის გავლენის ქვეშ მყოფმა ოსმალეთის მთავრობამ,—გერმანიის ყველა ბრძანების აღმასრულებელმა, ასე უმიზეზოთ და მოუფიქრებელათ გამოუცხადა ომი ძლევ-მოსილ რუსეთის მონარქს და ინგლისის მეფეს გეორგს. ეს უბნური საქმე, დაწყებული სულთანის ნებისა და სურვილის წინააღმდეგ, არის შედეგი გერმანელ აფიცრების ცდისა და მოქმედებისა და იმ აგენტებისა, რომელნიც ოსმალეთს მრავლათ მოეპოება. აი ამათ გახადეს სულთანი თავის ბრძანებების აღმასრულებლათ..

გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს ყოველთვის ისლამის მეგობრათ და მფარველათ მოჰქონდათ თავი, მაგრამ ეს სიცრუეა. ავსტრიამ თითქმის ძალით წაართვა ოსმალეთს ბოსნია და გერმანია კი არავითარ საშუალებას არ დაერიდა, რომ მცირე აზიის სხვადასხვა ადგილი ჩაეგდო ხელში, მათ რიცხვებში ისლამისთვის სამღვთო ადგილები, როგორც მაგალითათ: ქერბელა, ნეჯევი და ბაღდადი. რომ ეს გეგმა გერმანიას განეხორციელებია, ცხადია, შეიქნებოდა თუ არა, ის მთელი ოსმალეთის ბატონპატრონი, ეს სახელმწიფო ხელში ჩაიგდებდა ისლამის მთელ სიწმინდეთ. ევროპის დიდი ომი ისლამისთვის არავითარ შიშს არ წარმოადგენდა, არ იყო საში(!) ში ის აგრეთვე ოსმალეთისათვის, რადგანაც, თუ ოსმალეთი თავისთვის გაჩერდებოდა, სულთანის სამფლობელო უზრუნველ ყოფილი და ხელუხლებელი დარჩებოდა ყოველნაირი მოსალოდნელი უბედურებისაგან. მაგრამ, ოსმალეთი ჩავარდა რა გერმანიის განკარგულებაში, ამით მან დაღუპა თავის თავი, ამ მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით ის აღარ არის მფარველი ისლამისა და, მაშასადამე, სიკვდილი ოსმალეთის სახელმწიფოსი აუცილებელიაო, დასძენს ალა-ხანი.

—

## აჭარა და აჭარლები.

საერთაშორისო ომმა საშინელი ზარალი მიაყენა მთელ ქვეყნიერებას, მაგრამ ის, რაც ჩვენი ქვეყნის პატარა კუთხეს აჭარას, ეწვია, ენით გამოუთქმელია. ვინც აკაკის დასაფლავებას დაესწრო ერევნის მოედანზე და იქ ამართულ ტრიბუნაზე გადმომდგარ ჰაღარა მაჰმადიან ქართველის სევდიან გამომეტყველებას შეავლო თვალი, ადვილად წარმოიდგენდა, თუ რომელ ქვეყნიდან იყო ეს მოსული სტუმარი მოძმე; ათრთოლებული ხმა თქვენ გიდგენდათ ოდესმე გაკაჟებულ და ცეცხლში გამობრძმედილ ადამიანს. „აჭარა გაოხრებულია... აჭარა უყურადღებოთაა მიტოვებული... მოგვეშველეთ... ჩვენც თქვენი ძმები ვართ... მართალია, საუკუნეთა ქარტეხილმა ერთმანეთს დაგვაშორა, [illegible]ლია, რჯულით სხვადასხვაობა ჩამოვარდა ჩვენს შორის, მაგრამ [illegible], ერთ-ურთისაგან განუყოფელი, როგორც მარცხენა და მარჯვენა [illegible] გულდათუთქული ისმენდა მოხუცის მხილებას. მხოლოდ წუთით! ჩვენ ხომ აღმოსავლეთის ხალხნი ვართ, რომელთაც მხოლოდ წუთი შეგვზარავს, წუთივე ცამდე აგვაფრენს, მაგრამ გაჰქრება ეს წუთი და ჩვენი უზრუნველობა და დაუდევრობა წამოჰყოფს თავსა. ასე მოხდა ეხლაც. მაშინ დაკარგულ მოძმეს თანაგრძნობით მოვეპყარით, და ეს დიდი თანაგრძნობა ჟურნალ გაზეთებში გამოცხობილი ორიოდე მჭლე წერილი იყო. სხვა ერი ასე როდი მოიქცეოდა. ავიღოთ თუნდა ჩვენი მეზობელი სომხობა. პრესას არ ვიტყვი, ნახეთ, როგორ დღე და ღამ ბუკ-ნაღარასა სცემენ. გამოქცეულ სომხებს დავეხმაროთო! ადგილობრივი კომიტეტები, აქ, ეჩმიაძინში, რუსეთში და... სად არა გნებავთ! ბედშავ და უპატრონო აისორებსაც ჰყავთ თავიანთი გულშემატკივარნი, ქომაგნი, მგზრამ ჩვენს თანამოძმე აჭარლებს კი არავინ.

რად დაისაჯა აჭარა? ამ კითხვას ახლა არ გავარკვევთ: ვიტყვი მხოლოდ, რომ მათ ღალატი დასწამეს. ღალატი იმ ერისა, რომელსაც პოლიტიკური მისია ვერ შეუგნია, ცოტა არ იყოს პირზე ღიმილს მოჰგვრის ადამიანს. მაგრამ ბედის ირონიონია იმაში უფრო გამოიხატება, რომ დღიდან მაჰმადიანობის გამოცხადებისა ეს უბედური მხარე წეწვა-გლეჯის სარბიელად გახდა, ვიდრე რუსეთს არ შემოუერთდებოდა.

საკმარისია ავიღოთ ეთნოგრაფიული რუკა, რომ იქაც შევნიშნოთ: საქარ. ჩამოთლილი აქვს აჭარა. ავიღოთ ახლა პოლიტიკის მხრით. ქართველთ რამდენხან დასჭირდათ ფარშუბის დაღეწვა, რომ დაერწმუნებინათ აჭარლების ქართველობა. „თქვენ ქართველები ხართ,— ვეუბნებოდით აჭარლებს,

და განა

გასაკვირველია, თუ

აჭარელის გათვითცნობიერება ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაში დარჩენილიყო? ბუნდოვანი შეგნება თავის ვინაობისა, მოწყვეტა სამშობლო კერისა მასში აძლიერებდა რელიგიურს ფანატიზმს. ვიდრე საქმე არ შეეხებოდა რელიგიის საფრთხეს, აკი სტიქიურად აჭარლები მხარს უჭერდენ რუსეთს, და. არათუ უჭერდენ, ავანგარდაშიაც ექცეოდენ, რომ თავიანთი ერთგულება და-

# დათიკო.

(ესკიზი).

I.

ნიკო ნებ—ძე შეძლებულ მოსახლედ ითვლებოდა თავის სოფელში, მაგრამ ერთად ერთი ვაჟიშვილის —დათიკოს ორი წლის განმავლობაში კერძოთ მზადებამ, ისიც ქალ. №-ში, სრულიად მოსტეხა მას წელი

ისედაც აუტანელ შრომაში მცხოვრები, ის წელზე ფეხს იდგამდა, ოღონდ დათიკოს სასურველად წასვლოდა საქმე. დათიკომ მაზრის სკოლა ორი წლის წინად დაასრულა, საშუალო ნიშნებიანი მოწმობა გამოიტანა და მამას გადაჭრით მოსთხოვა სწავლის გასაგრძელებლად ქ. №-ში გაეგზავნა იგი.

სიმართლე უნდა ითქვას, თვითონ ნიკოსაც სულით და გულით სურდა დათიკოსათვის საშუალო განათლების მიცემა. ამ სურვილის სისრულეში მოსაყვანად მას აქეზებდა ორი, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ მის ხსოვნაში წაუშლელი შემთხვევა. აი ისინიც.

ახალგაზდობისას, როცა იგი დღიურ ქირაზე მუშაობდა ქ. გაგრაში, მასთან ერთი მდიდარი ვაჭარი მივიდა და უთხრა:

— ძმობილო! მე თვალს ვადევნებ შენს ბეჯით შრომას. ცოდვაა შენ ასეთ უხეირო საქმისათვის ხარჯავდე ძალ-ღონეს; წამოდი ჩემს მაღაზიაში, ჯამაგირს შესაფერს დაგინიშნავ და ამდონი ჯაფაც არ გექნებაო.

ნიკო სიხარულით დასთანხმდა.

საქმე იქამდის მივიდა, რომ ვაჭარი მას 40 მან. ჯამაგირს დაპირდა.

საქმე გამოწყობილი იყო, რომ ვაჭარი უეცრად დაეკითხა:

ინც არ დაასრულებინებს: მამაჩემს ჩემთვის რომ წერაკითხვა ესწავლებინა, ახლა მე ერთი მტერიც თვალებს ვერ გამისწორებდაო! რას ამბობთ, მაშინ ოცი წლის ვიყავი და, რომ მივედე იმ ოჯახს კეტიანს, ახლა ფულის პატრონი ვიქნებოდიო!..

მეორე შემთხვევაც ამის მაგვარია, მაგრამ მისი მოგონება ახლაც ცეცხლივით ანთებს ნიკოს:

18 წლის ნიკო ხაშურის დეპოს გამგეს ენახა, გაეჩერებინა და ეთქვა:

— ყმაწვილო! თუ შენ წერაკითხვა იცი, დადექი ჩემს დეპოში; ერთი კაცი მაკლია და ჯამაგირს საკმაოს დაგინიშნავო, როცა ნიკოს უთქვამს, რომ წერაკითხვა არ ვიციო, დეპოს გამგეს ხმაც არ გაუცია, ისე წასულა.

შეიძლება სხვამ ეს შემთხვევები მთლად უმნიშვნელოდ ჩასთვალოს, მაგრამ ნიკოსათვის ისინი მცნებას შეადგენდენ. როცა ის დათიკოს სწავლაზე დაფიქრდება ხოლმე მაშინათვე ჩაილაპარაკებს:

— კარგი მამა კი იქნები, ნიკო, თუ შვილს შენისთანა გზაზე დააყენებ და შენ, რომ ხაშურსა და გაგრაში გაგივარდა, ისეთ ლუკმებს თუ გააგდებინებო ცხოვრებაში.

ნიკომ თავიდანვე იცოდა, რომ შვილის სწავლა იაფად არ დაუჯდებოდა, მაგრამ თავს ადვილად ინუგეშებდა.

— სულ ოთხი-ხუთი წელიწადი და შემდეგ რაც მე მაზე დამიხარჯამს, იმდონს ერთ წელიწადს იშოვისო,—ფიქრობდა იგი.

დათიკოს ქ. №-ში გაგზავნის დროს, მისი საქმე არც ისე დაბნეული იყო; სამასი მანეთი ფულად გასესხებული ჰქონდა და მისი ოჯახიც ყოველმხრით სავსე იყო: სასიმინდეში სიმინდი ყოველთვის

გამოულეველი იყო, ორი უღელი ხარი წელს უმაგრებდა მის მხნე გამრჯელობას, ორი ძროხა და რამოდენიმე ხბო, ცხენი, წვრილფეხი საქონელი მის სახლკარს სიცოცხლის ელფერს დებდენ. სახნავ-სათესი მიწებიც ბლომად ჰქონდა შესყიდული. ასე რომ, მისი ფიქრით, დათიკოს ქ. №-ში ორი—სამი წლით შენახვა ვერც ისე მოღუნავდა მას წელში.

დათიკო კი ჰპირდებოდა, მხოლოდ ორ—სამ წელს დავრჩები №-ში, ჩემ სურვილს მივაღწევ, სამსახურში შევალ და მერე შენს ბედს ძაღლიც არ შეყეფსო.

მაგრამ ჯერ ორი წელიწადიც არ არის გასული, დათიკო №-ში იმყოფება და ნიკოს მდგომარეობა კი ერთობ შეირყა. გასესხებული სამასი მანეთი პირველი წლის ნახევარში წავიდა; იმავე წელს იძულებული გახდა ერთი ძროხა და ცალ უღელი ხარი გაეყიდა. შემდეგ ამათ უკან მიყვენ: უღელი ხარი, მეორე ძროხა, ცხენი, მარანი და სამი ქცევა მიწა.

— დაწყებული საქმე ბოლომდის უნდა მივიყვანოთ!—ამბობდა ნიკო. ბოლოს ფულების სესხებასაც კი შეუდგა. თუ კი აქამდის სესხს ადვილად შოულობდა ახლა ვექსილითაც კი ძნელად ენდობოდენ.

ყველა ხედავდა, რომ ნიკო თანდათან ღარიბდებოდა და გადასაყრელათ კი ფულებს არავინ იმეტებდა.

— —

ნიკომ ეს-ეს არის წერილი მიიღო დათიკოსაგან. ის იწერება, თუ ამ ორ თვეს კიდევ გამიძლებ, შემდეგ არაფერი გვიჭირსო.

მისი გრძელი წერილი სიამოვნებით ჩაიკითხა ნიკომ, მაგრამ წერილის ბოლო სიტყვებმა მისი შუბლი დაანაოჭა.

„მამილო—იწერებოდა დათიკო, ვიცი რომ გიძნელდება ფულის შოვნა, მაგრამ როცა მეტი გზა არა მაქვს, რას ვიზამ? ისევ შენ მოგმართავ: დიასახლისმა თავის ოცი მანეთი და მასწავლებელმა 25 მან. უკვე მომთხოვეს. თუ ამ კვირეში არ გამომიგზავნე, შენც კარგად იცი,—საქმე წამიხდებაო.

— რა მიწაში ჩავიდე? რომ არავინ მენდობა?... ათი დღის განმავლობაში ისხაკა ურიას რომ თავისი 40 მანეთი თუმნიანი სარგებლით არ მიუტანო, ას მანეთიან ვექსილს გამისაჩივრებს და ახლა 45 მანეთიც საშოვნელი მაქვს... მეტი გზა არაა, ჩემი მარჯვენა ხელი - ცალი ხარი და უშობელი უნდა გავყიდო... —გადაწყვიტა დაღონებულმა მამამ.

ამ გადაწყვეტილებამ თუმცა დიდი მწუხარება გამოიწვია ნიკოს ოჯახში, მაგრამ შვილივით გამოზრდილი საქონელი მეორე დღეს ხელზე მოვაჭრე მეზობელს მიჰყიდეს. ჩვეულებრივ დროს ნიკოს ცალი ხარი და უშობელი უკანასკნელი—შვიდ თუმნად გაიყიდებოდა, მაგრამ ნიკოს მდგომარეობის მცოდნე ჩარჩმა მისი გაჭირვებით ისარგებლა და ორივე ორმოც მანეთად ჩაიგდო ხელში.

დათიკოს დედამ ხუთი მანეთის წვრილფეხი გაყიდა და გასაგზავნ ფულს დაუმატა. ნიკომ ფული იმდღესვე გაუგზავნა დ თიკოს და მოკლეთ მისწერა:

„შვილო, დათიკო! გიგზავნი 45 მან. გული არ გაიტეხო, ბაბაია, კიდო გამოგიგზავნი მალე. იცოდე, შვილო, ეს ფული „შავგულე" და „ცოცო"-ს ფასია.

თუ ამ მაისში ეგზამენი ვერ დაიჭირე, დეგვემსება თვალები და ის იქნება. აწი თუ ოდას გავყიდი, თორემ მეტი არაფერი დამრჩენია. აბა შენ იცი, შვილო. შენი მამა ნიკოლოზი".

II.

დათიკოს ქალ. №-ში ჩამოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია იქაურ ახალგაზრდებში, უმეტესად უფროს კლასის მოწაფეებში. დათიკომ ჩამოსვლის დღესვე, როცა იგი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ბინას დაეძებდა, შემთხვევით №-ელ ახალგაზრდებში გართული მოწაფე—ფიდო გაიცნო. რამდენიმე საათის საუბრის შემდეგ, ფიდომ ახალგაცნობილ დათიკოს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა:

— Выраженіе лица и ваше чистое сердце, კაცო, თქვენ ბევრ მეგობრებს მოგიპოვებთ. Признаюсь, Вы и въ женскомъ обществѣ фуроръ произведете!...

მისი რჩევით დათიკომ ჩამოსვლის მეორე ღამეს ჩინებული ვახშამი მოაწყო ახლად დაქირავებულ ოთახში. სტუმრების დაპატიჟება ფიდოს მიანდო. ვახშამს ოცდაათამდე ქალ ვაჟი მოსწავლე დაესწრო.

დათიკოს სიხარულისაგან თავბრუ ესხმოდა: სამაზრო ქალაქში სწავლის დროს მას სიზმარშიც არ ენახა ასეთი რამ.

ფიდომ იგი ყველას შესაფერი განმარტებით გააცნო.

დათიკო ხედავდა, თუ როგორი თავაზიანობით ეცნობოდენ მას ქალიშვილები.

ვაჟები ქალიშვილებში ისე ირეოდენ, თითქოს ყველანი ერთი ოჯახის შვილები არიანო.

— Не безпокойся, Датико; скоро შენც შეეჩვევი ქალიშვილებს,—ჩასჩურჩულა გაოცებულ დათიკოს თამამმა ფიდომ.

სუფრაზე შემოსხდომისთანავე ფიდომ სხარტულად, თავისებური მჭევრმეტყვე-

ემტკიცებინათ. რევოლიუციის ქარტეხი- ლის დროს 1905 წ. აჭარლები რაზმობ- ლივ ილაშქრებდენ აჯანყებულთა წინააღ- მდეგ. მაგრამ აი, ახლა საკითხი შეიცვა- ლა. ოსმალეთი იღუპება. მაშასადამე მისი რელიგიაც მოისპობა. განა რა არის გასა- კვირველი, თუ ოსმალთა აგიტატორები აღელვებდნენ თუ სულ მთლად არა, ნა- წილს მაინც ამ ნიადაგზე? რა მივეცით საბრალო კუთხეს, რომ ასე სასტიკად მო- ვითხოვთ პასუხისმგებლობას? გაუნათლე- ბელი, ჩამოშორებული ცხოვრების სინამ- დვილეს,

გზა აბნეული ადვილად დაი- ჯერებდენ, რომ მათ მართლა განსაცდე- ლი მოელით სარწმუნოების მხრივ. და აი, ისინიც ხმას იღებენ. მართალია, ერთსუ- ლოვნად არა, მაგრამ მაინც! ეს არც ისე გასაკვირველი იყო. ნიადაგის მომზადებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსმალთა ტალ- ღამ მოასწრო ადრე გადმოეხეთქა და გა- ბატონებულიყო ამ მხარეში. რა შეეძ- ლო ამ პატარა მხარეს? შებრძოლებო- და? მაგრამ ომის პირობებიდან ვიცით, რომ გაწვრთნილ ჯარს მხოლოდ ჯართან უნდა ჰქონდეს საქმე და არა მცხოვრებ- ლებთან. აჭარლებიც დაემორჩილენ. ბუ- ნებაც, კანონიც ამგვარს დამორჩილებას მოითხოვდა. მაგრამ ის, რაც კანონიერი არის ბუნებრივად, ის, რასაც მთელს საუ- კუნის განმავლობაში ჩავძახოდით, რომ ისინი მაჰმადიანები იყვენ და არ გვეძლე- ოდა უფლება ქართველებს შეგვეღო კა- რები და განათლების გზაზე დაგვეყენებია, თურმე შეუწყნარებელი იყო ომის ღმერ- თისთვის და აჰა, ბრალი ჩვენი დანაშაუ- ლობის მათ თავს მოვახვიეთ, „მოღალა- ტეებად“ გამოვაცხადეთ და სასტიკად დავ- საჯეთ კიდეც სტატისტიკური ცნობები „რუს. სლოვოში“ მოყვანილი ასე აგვი- წერს ამ განადგურების სინამდვილეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სოფ. | ა. | 17 | სახლიდან | გადამწვარია | 15 |
| „ | ბ. | 44 | „ | „ | 40 |
| „ | გ. | 19 | „ | „ | 19 |
| „ | დ. | 14 | „ | „ | 10 |
| „ | ე. | 11 | „ | „ | 8 |
| „ | ვ. | 40 | „ | „ | 20 |
| „ | ზ. | 17 | „ | „ | 10 |
| „ | თ. | 11 | „ | „ | 10 |
| „ | ი. | 17 | „ | „ | 7 |
| „ | კ. | 14 | „ | „ | 10 |
| „ | ლ. | 14 | „ | „ | 11 |
| „ | მ. | 18 | „ | „ | 8 |
| „ | ნ. | 65 | „ | „ | 15 |
| „ | ო. | 18 | „ | „ | 1 |
| „ | პ. | 28 | „ | „ | 22 |

თქმა არ უნდა, ეს მხოლოდ უბრა- ლო აღწერილობა იქნება. სინამდვილის აჩრდილი, რაც ნახა ხსენებულ გაზეთის კორესპონდენტმა, რომელსაც ეს გაოხრე- ბული პატარა კუთხე ჩვენი ქვეყნისა სა- კუთარ ფეხით მოუვლია.

ასე თუ ისე, დიდია განსაცდელი. ის- ტორიამ საუკუნეთა განმავლობაში ბევ- რი ვაება მიაყენა ჩვენს ქვეყანას, მაგ- რამ ჩანს, საკმარისი არ იყო საშინელ ქარტეხილთა ქროლვა. ახალი განცდა გვეწვია, ახალი გასაჭირი. დღეს უფრო, ვიდრე სხვა როდისმე, გვმართებს სიფრ- თხილე, დაკვირვება და მუშაობა, საქმე, საქმე და საქმე, აღფრთოვანებული სიტ- ყვები, გმირთა ყივილი ბრძოლის ველზე და მამულის მუდმივი მხილება მხოლოდ ერთი რამ არის: ერთსულოვნობა, ერთ- სულოვანობა და, უწინარეს ყოვლისა, საქმე! დაე, ჩვენი ქვეყნის პატარა კუთ- ხემ ჩვენს გულში სამარადისოდ მოიპო- ვოს თბილი ადგილი და ყველას და- ვუმტკიცოთ, რომ ჩვენ, მიუხედავად რჯულის სხვა და სხვაობისა, მაინც ქართ- ველები ვართ! ამიერიდან დაე, პოლი- ტიკოსთა მიერ ნუ დამახინჯდება ჩვენი რუქაც და საქართველო და აჭარა ერთ ბაირაღის ქვეშ დაგვაყენონ: წარსულში ამას თეორეტიულად ვამტკიცებდით, დღეს კი საქმით დავამტკიცოთ, საქმით, რომ ეს ერთობა დავამშვენოთ ამ საბ- რალო ქვეყნის მოწამეობრივი გვირგვინით.

(„კლდე“).

# ზღაპარი.

—:—

მზე დასავლით ჩაესვენა, ზღვის ემბაზში ჰპოვა ბინა;
ძლევა მოსილ დღისა ფეთქამ ღამის მკერდზე მიიძინა...
მარტოდა ვარ .. სევდიანი სული სტირის, სული გოდებს,
მაღლიდან კი, ხმა უჩვევი ფირუზ ცისკენ მიმიწოდებს:

„მწირო, მწირო, მიწის მსხვერპლო, გიჯობს სევდას მოეშორო,
გიჯობს იწყო მისკენ ფრენა, გიჯობს ცის თაღს ემბორო!..
აქ იხილავ ტურფა წალკოტს, ყვავილებით მოქარგულსა,
შენ მის მკერდზე განისვენებ, დაიამებ გულის წყლულსა;
აქ დასტოვებს შენსა თვალებს ცხარე ცრემლთა მარად ფრქვევა;
აქ ვერ მოკლავს ცოცხალ სმენას მიწიერთა შავი წყევა;
აქ გაგკურნავს წყლულებისგან ანგელოსთა ფრთათა რხევა;
აქ სხივები სიცოცხლისა თოვლის ფერფლად დაგეფრქვევა;
აქ მოისმენ მომხიბლავ ხმებს ეოლოსის სათუთ ჩანგის;
აქ დაგატკბობს სიმფონია ანგელოსთა ტკბილი ჰანგის!..
მწირო, მწირო, მიწის მსხვერპლო, გიჯობს ცის თაღს ემბორო,
გიჯობს დასთმო მიწის სევდა—გულს იქვები მოაშორო“!..

მარტოდ ვდგევარ... მე ბედშავსა
გარს მეხვევა სევდათ გუნდი—
მინდა ავყვე ციურ ხმასა,
მაგრამ მიჭერს მიწის ხუნდი...

მზე დასავლით ჩაესვენა, ზღვის ემბაზში ჰპოვა ბინა,
ძლევამოსილ დღისა ფეთქამ ღამის მკერდზე მიიძინა,
ფიქრით მოცულ დედამიწას კუპრის ფერფლი დაეთოვა,
და სულს, ცისკენ შურით მცქერალს, ჩაუნერგა სევდათ გროვა.

ს. ურუშაძე.

## სამასწავლებლო ოლქის მზრუნველთა თათბირი პეტროგრადში.

21 თებერვალს, სამასწავლებლო ოლ- ქის მზრუნველთა თათბირზე სახალხო გა- ნათლების შესახებ საკითხებს არკვევდენ. ამ თათბირზე სახალხო განათლების სამი- ნისტროს გამგემ—გრაფმა იგნატიევმა სა- ჭიროდ აღიარა შექმნა სახალხო მასწავ- ლებელთა ახალი რაზმებისა, რომელთაც ცხოველმყოფელი ძალა უნდა შეიტანონ მომავალ თაობის სწავლა განათლების საქ- მეში.

ამისთვის კი საჭიროა, რომ სამასწა- ვლებლო სემინარიებში, ინსტიტუტებში და აგრეთვე პედაგოგიურ კურსებზე სწა- ვლების საქმე სასურველ დონეზე დადგეს და აგრეთვე გამრავლდეს ასეთ სასწავლე- ბელთა რიცხვი.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამო- ირკვა, რომ არამც თუ მარტო სავაჟო სამასწავლებლო სემინარიებსა და ინსტი- ტუტებშია საჭირო მასწავლებლების აღ- ზრდა-მომზადება, არამედ საჭიროა მასწა- ვლებელ ქალთა მთელი პერსონალის შე- ქმნა.

სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების დღევანდელმა მდგომარეო- ბამ სახალხო განათლების სამინისტრო აიძულა, რომ ახალი კანონპროექტი შეე- მუშავებინა, რომელიც უკვე სახელმწიფო სათათბირომ განიხილა.

რადგანაც სამასწავლებლო ახალი სე- მინარიებისა და ინსტიტუტების გახსნა დიდს ხარჯს მოითხოვს და აგრეთვე ომის- გან გამოწვეულ პირობების გამო მოუ- ხერხებელიცაა, ამიტომ სამასწავლებლო ოლქის მზრუნველებმა, რაც შეიძლება, უნდა გაამრავლონ (ერთ-წლიანი და ორ- წლიანი) პედაგოგიური კურსები, რომელ- ზედაც მსურველთ შეუძლიან შეისწავ- ლონ საერთო განათლების საგნებთან ერთად მეთოდიკა და პედაგოგიკა, რასაც დაბალ სასწავლებლებში ასწავლიან და ამნაირათ მოემზადონ სახალხო დაბალ სასწავლებლების მასწავლებლებათ.

სამასწავლებლო ოლქის მზრუნველთა- გან შენიშნულია, რომ ხალხმა თანდა- თან შეიგნო სწავლა-განათლების საჭი- როება, რომლის წყალობითაც თითო- ეულს შეუძლია გააუმჯობესოს თავისი ყოფა ცხოვრება. როგორცა ჩანს—148 სამასწავლებლო სემინარია და 38 სამა- სწავლებლო ინსტიტუტი მასწავლებელთა საკმაო რიცხვის მოსამზადებლათ ძალიან ცოტაა, რადგანაც დამსრულებელთა რი- ცხვი 25-ს არ აღემატება. კიევის სამა- სწავლებლო ოლქში დაბალ სწავლა-განა- თლების საკითხების გარჩევის დროს, სა- კითხი აღიძრა, ამ მხრით უზრუნველეყოთ აგრეთვე გალიციის მცხოვრებლებიც.

მაღალ პირველდაწყებით სასწავლებ- ლებს შეეხენ და სცნეს, რომ აქ მასწავ- ლებლების მოსამზადებლათ სწავლების საქმე კარგათ არის მოგვარებული და ძა- ლიან სასარგებლოც გამოდგა როგორც ქალაქის მცხოვრებლებისათვის, ისე სო- ფლებისათვის. ამ სასწავლებლების ნაყო- ფიერება სოფლებისა და ქალაქების ური- ცხვი შუამდგომლობითაც მტკიცდება. სა- სურველათ დაინახეს რა ამ სახის „სასწა- ვლებლების გამრავლება,“ გრაფ. იგნა- ტიევმა საჭიროთ იცნო სამასწავლებლო მზრუნველები ახლავე შეუდგენ ფინან- სიურ გეგმის შემუშავებას, რათა ასეთი სასწავლებლები მალე განხორციელებულ იყოს, ამასთან, სურვილი გამოთქვა, რომ, რაც შეიძლება მალე, დაამტკიცონ მზრუ- ნველებმა იმ პირველდაწყებით სასწავლე- ბლებთან არსებულ სამზრუნველო საბჭოე- ბი, რომლებიც ხაზინის ხარჯზე ინახება.

მაღალ პირველდაწყებით სასწავლე- ბლებში თათბირი უცხო ენის სწავლებას შეეხო და არა სავალდებულოთ იცნო.

შემდეგ ამ სასწავლებლებში ადგილო- ბრივი ენების სწავლების შესახებ აღიძრა საკითხი და გამოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა პირველდაწყებითი სასწავლებლებში სწავლა დედა-ენაზე სწარმოებდესო, რაც შემდეგში მოსწავლეთ სახელმწიფო ენის შესწავლას გაუადვილებსო.

კრების დასასრულ სახალხო სასწავლე- ბლის ინსპექტორების რიცხვის გადიდე- ბის შესახებ ითათბირეს და გამოსთქვეს სურვილი, რომ დაარსდეს ინსპექტორის თანაშემწეთა ინსტიტუტი, რათა ინსპექ- ტორის თანამდებობაზე კანდიდატათ ღირ- სეული კაცი მზათ იყოს ხოლმე.

## ვარლამ გელოვანის გასვენება.

ლეჩხუმისაკენ.

26 თებერვალს 6 საათზე სიტყვების შემდეგ დეპუტატის ნეშტი გაასვენეს ფერმიდან. ვინც ფეხით იყო დაბრუნდა იქიდანვე და ვინც ეტლებით, გაემგზავ- რენ ლეჩხუმისაკენ. ბევრმა გააცილა გან- სვენებული: ზოგმა 6, ზოგმა ათ და ოც ვერსზე. 7 საათზე პროცესია მივიდა ს. ნამახვანში, სადაც ღამე გაათიეს. მეორე დილას ს. ნამახვანიდან პროცესია გაემართა შემდეგი წყობით: წინ მიდიო- და ორი ეტლი. პირველ ეტლზე იჯდა ყმაწვილი (მოსწავლე), რომელსაც გან- სვენებულის სურათი ეჭირა ხელში. ამ ორ ეტლს სამგლოვიარო ეტლი მიცვა- ლებულით, შემდეგ გვირგვინებით შე- მოსილი ეტლი და მას შემდეგ ჭირი- სუფლები მიჰყვებოდენ.

ამინდმა პროცესიას ხელი შეუწყო. მივუახლოვდით ს. მექვენას; შორიდანვე მოსჩანდა მრავალი ხალხი. სურათი ჩვენი და იმათი შეხვედრისა მტერსაც კი ატი- რებდა. როდესაც ხალხის წინ ეტლმა გაიარა და განსვენებულის სურათს შე- ხედეს, რიგში ჩამდგარმა ხალხმა თავში ხელი წაიშინა და ერთხმათ გაისმა ქვი- თინი, რომელიც შეაჩერა მღვდლების ხმამ. სამი მღვდელი მგალობელი გუნ- დით წინ წარმოსდგენ. დაიწყო პანაშვი- დი. ხალხში სამარისებური სიჩუმე ჩამო- ვარდა. სიტყვებმა: „საუკუნო იყოს ხსე- ნება შენიო“ კვლავ [illegible]

პანაშვიდის დასრულების შემდეგ [illegible] მოითქვა სიტყვები. პირველად, [illegible] რაკა უშანგ ასათიანმა, შემდეგ არჩილ აბაშიძემ, პეტრე ასათიანმა და ბოლოს იქ დამხდურმა სტუდ. მექი ასათიანმა. სიტყვები ყველა გრძნობიერი იყო და ხანგამოშვებით ტირილს იწვევდა ხალხში.

სიტყვების შემდეგ მღვდლები და მგა- ლობელი გუნდი გაუძღვა მიცვალებულს წინ და ზემოთ ნაჩვენებ წესით გაემგზავ- რა პროცესია ლეჩხუმის გზაზე.

რამდენიმე წუთის შემდეგ პროცესიას შეუერთდა ს. მექვენაში ქუთაისიდან მო- სული ეტლი, რომელშიც ისხდენ ბ. კი- ტა აბაშიძე, გრიგოლ ლადიძე და სხვები.

—

დეპუტატის ვარლამ გელოვანის და- საფლავებას დაესწრენ შემდეგ დაწესებუ- ლებათა და საზოგადოებათა წარმომად- გენელნი:

1) ხონის თანამოაზრეთაგან, 2) მათ- ხოჯის თანამოაზრე გლეხთაგან, 3) ს. კუხის თანამოაზრე გლეხთაგან, 4) სა- მტრედიის თანამოაზრეთაგან, 5) ჭიათუ- რის თანამოაზრეთაგან, 6) ჭიათურის თანამოაზრე მუშებისაგან, 7) ქუთაისის სომეხთა საზოგადოებისაგან, 8) საჩხერის თანამოაზრეთაგან, 9) ფოთის თანამოაზ- რეთაგან, 10) ბათომის ელლინთა კულ- ტურული საზოგადოებისაგან, 11) ქუ- თაისის თანამოაზრე ვაჭრებისაგან, 12) ს. სავანის თანამოაზრეთაგან, 13) „ს ხ. ფურცლის“ რედაქციისაგან, 14) თფი- ლისელ თანამოაზრეთაგან, 15) ზესტა- ფონის თანამოაზრეთაგან, 16) ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან, 17) „თემის“ რედაქციისაგან, 18) ქუ- თაისის წიგნების გამომცემელი საზოგა- დოებისაგან, 19) შავიქვის საბჭოსაგან, 20) მოქალაქეთა საზოგადოებისაგან, 21) ბათომელ თანამოაზრეთაგან, 22) ქუ- თაისის თანამოაზრე ნოქართაგან, 23) ქუთაისის თანამოაზრე მუშებისაგან, 24) ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან, 25) ქუთაისის ქალაქის საბჭოსაგან, 26) ქუ- თაისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეო- ბისაგან, 27) ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის თანამოაზრე მოსამსახურეთაგან, 28) ქუთაისის ქალაქის თვითმართველო- ბის თანამოაზრე მოსამსახურეთაგან, 29) ეტნოგრაფიული საზოგადოებისაგან, 30) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო- გადოებისაგან, 31) ქუთათურ ქალთა სა- ზოგადოებისაგან, 32) „სამშობლოს“ რედაქციისაგან, 33) ქუთაისის თანამოაზ- რე ვექილთაგან, 34) ქართული გიმნა- ზიისაგან, 35) ქალთა ეპარქიალურ სა- სწავლებლისაგან, 36) ლეჩხუმის გლეხ- თაგან, 37) შორაპნის მაზრის თავად-აზ- ნაურობისაგან, 38) ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთაგან, 39) ქუთაისში მე- ორე ქართველ თანამოაზრე სტუდენ- ტებისაგან, 40) საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან, 41) ქუთ. დრამა- ტიული საზოგადოებისაგან, 42) შავიქვის საბჭოს თანამოაზრე მოსამსახურეებისა- გან, 43) ქუთაისის მსახიობთა ამხანა- გობისაგან და სხვა.

# სიტყვა

თქმული ლეჩხუმის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. იასონ გელოვანის მიერ 26 თებერვალს, დეპუტატი ვარლამ გელოვანის გამოსვენებაზე, ქუთ. რკინისგზის სადგურთან.

ბატონებო! ჩემს ღრმად დაზხამულს ჭი- რისუფლის გულს, დღეს ერთი დიდი მოვლენა დაედვა მკურნავ მალამოდ; ეს ის მოვლენაა, რომ ჩვენს მიცვალებულს მთელი საზოგადოება პატრონობს და ჭი- რისუფლობს. მაგრამ უკეთუ საზოგადოე- ბისაგან შემუშავებული წეს-რიგი რითიმე დავარღვიო და მე განსაკუთრებით ჩემს ლეჩხუმლებს მივმართო მოკლე სიტყვით —მაპატიეთ.

ჩემო ძმებო და ძენო, ლეჩხუმელნო, მომიახლოვდით!

მეთორმეტე საუკუნის შვილი, ჩვენი ერის სიქადული აქამდე და აწცა—რუს- თაველი ასე იტყვის:

„მე გლახთა მათ ჩემთა პატივთა, სხვა- ცა დამერთო ზედაო“.

აი, იმ აუწერელ უბედურებათა შორის, რომელიც ნიადაგ წამებულს, სისხლში მცურავს საქართველოს, როცა აღმოსავ- ლეთით და დასავლეთით ჩვენს სიმხნეს, სიჩაუქეს, სიმამაცეს, მრავალრიცხოვან ჭაბუკთა რაზმებს ბრძოლის ველზე ვკარ-

---

ლობით გაიცნო დამსწრე საზოგადოებას ჩვენი დათიკო:

— ბატონებო! მიმართა მან დამსწრეთ, —ჩვენს ღვთიურ კამპანიას ერთი ღირ- სეული წევრი შემოუერთდა. თუმც მე მას ორი დღეა რაც ვიცნობ, მაგრამ я смѣло могу утверждать, რომ ის მთელი თვისი, ასე რომ ვთქვათ... существомъ что-ли ეკუთვნოდეს იქ- ნება ჩვენს ამხანაგურ კავშირს. Время впереди! თქვენ ამაში მალე დამერწმუ- ნებით და ახლა კი მე თქვენ წინადადებას გაძლევთ ეს ძვირფასი, ახლად შეძე- ნილი ამხანაგი თამადათ ამოვირჩიოთ!

— Браво, браво Пидо! bis-bis! Да здравствуетъ нашъ новый другъ—толумбашъ!—გაიძახოდენ სხვა ამხანა- გებიც.

არც ქალიშვილები ჩამორჩენ საერთო ფერხულს და ისინიც ხმამაღლა გაჰყვი- როდენ:

— Да здравствуетъ нашъ гость-красавецъ! Душка!

დათიკო დაიბნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა.

ამ დროს ფიდომ მას ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

— Слово, слово! - იძახოდენ ყოველ- მხრით და ტაშს უკრავდენ.

სირცხვილისაგან ცეცხლივით ანთებუ- ლი დათიკო წამოდგა.

— ბატონებო! — ძლივს წარმოსთქვა მან.

ყველამ სული განაბა.

— მე ასეთი პატივისცემის ღირსი არა ვარ,—განაგრძო დათიკომ, ღმერთს ვთხოვ თქვენთვის ამხანაგობა გამეწიოს, ისე არ მომკლას, რომ ამისი მაგიერი... რომ..

— Не стоитъ! არ ღირს!—გააწყვე- ტინა მას რამოდენიმე ხმამ.

— ყოველ შემთხვევაში მე ღირსი არა ვარ თქვენი თამადათ ყოფნის!—მიმართა მათ დათიკომ.

რაკი საშველს არ იძლეოდენ, დათი- კოც დათანხმდა ამ საპატიო თამადობაზე.

— ღმერთო შენ შემეწიე! ნუ შემარ- ცხვენ ამ უცნობ ხალხში!—გულში ლო- ცულობდა დათიკო.

— Не слышенъ голосъ толумбаша трам-тарам...—ჩაიმღერეს რამოდე- ნიმე ქალიშვილმა და დათიკოს ღიმილით შეხედეს.

დათიკო გულის კანკალით წამოდგა, დამსწრეებს მადლობა უთხრა თამადათ ამორჩევისათვის, თანაშემწე ამოირჩია და განაცხადა:

— ბატონებო! იქნება თქვენ ჩემი მე- თოდი სასაცილოდ მოგეჩვენოსთ, მაგრამ, იმედია, არ დამძრახავთ. თავდაპირველათ მე, როგორც თამადა, ყველას ნებას ვა- ძლევ ილაპარაკოს, რომელ ენაზეც მას სურდეს, даже на смѣшанномъ языкѣ! თუ ქართული არ იცით, რუსულად ილაპარაკეთ, ან ერთმანეთში არიეთ, пожалуйста, никто не будетъ мѣшать! იქნებ ბევრ რამეში შევცდე, მაგ- რამ ხომ იცით გამოუცდელობა ყველა- ფერს აქნევინებს კაცს. ჯერ, такъ сказать, не выѣзжалъ изъ глухой провинціи და...

— არაფერია, მაინც надѣемся!— დაიგრიალა დარბაზმა.

— მაშ, ბ—ბო, მე ვიწყებ სადღე- გრძელოს იმ ზეარს ქმნილებისაგან, რო- მელიც, ვით ციმციმა ვარსკვლავი ლაჟ- ვად ცის ტატნობზე, ახხივოსნებს ჩვენს კამპანიას... მისი მნათე თვალები და მო- მხიბვლელი სახის გამომეტყველება ღაღა- დებენ მის სულიერ სიმაღლეს... მე ვამ- ბობ ზეასულის შესადარ M-elle Marie-ზე... (ქალების სახელი მან ფიდოს გამოკითხა, თამადათ ამორჩევის შემდეგ).

დათიკოს კიდევ უნდოდა გაეგრძელე- ბინა, მაგრამ გამბედაობამ უღალატა და თან ენაც ებორკებოდა.

სადღეგრძელოს გათავება და ტაშის გრიალი ერთი იყო.

— ვაშა! ვაშა! браво, тамада!—გაი- ძახოდენ ვაჟები და ჭიქებს ჭიქებზე ცლი- დენ.

— Тамада—рѣчистъ! ვაშა!—იძა- ხოდენ ქალიშვილებიც.

M-elle Marie-ც წამოდგა, მან ნაზად დაუკრა თავი დათიკოს და უთხრა.

— Не могу выразить благодарность Вашему очаровательству! უსა- ზღვროთ გმადლობთ!

— ღმერთო ჩემო! რამ მათქმევინა ასე- თი სიტყვა? видно есть на это призваніе!—გაუელვა თავში დათიკოს.

ქალიშვილების სადღეგრძელოები და- თიკომ მოხდენილი სიტყვებით შეამკო. ის გატაცებით სვამდა მათ სადღეგრძელოებს და როცა ვაჟებისას დააგვიანებდა, ესენი განგებ მღეროდენ:

„ტოლუმბაშო ჩანჩალაო,
ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარაო,
ტოლუმბაშო ჩამწვარა,
ასულდა თვალში ჩამძვრალა“...

არ. ფანცულაია.

(დასასრული ხვალ).

## სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის ძ—ბის“ ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

## ხ. ხრისტოდულიდის მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ფუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუთმობა 2 მ. და 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


გავთ და ვმარხავთ... და ჩვენვე ვაცარიელებთ ჩვენს ბუნებრთად კეკლუცს, მოკაზმულს მიდამოებს; როცა ვიძირებით უბედურების ოკეანეში—ესეც დაგვემატა.

დავკარგეთ ერთ-ერთი შვილი სახელმწიფო საკანონმდებლო დაწესებულებაში მღალადებელი წინაამდეგ ამა თუ იმ შეუხამებელ მოვლენათა. გამოგვესალმა და გამოვესალმეთ ჩვენც მის სამართლიან შეძახილს, სალ ჭკუას და იმ მოვალეობათა გამართლების სურვილს, რაც მას დააკისრა ხალხმა. საუბედუროთ მოკლე იყო ასპარეზი მისი მოღვაწეობისა... მაგრამ თავგანწირულებამ, ენერგიამ და მაღალმა თვისებამ მედგრად, ლომ-გულად შეაჯახა სიკვდილს და საწადელის მოპოებას შეალია სიცოცხლეც. უკეთუ ბევრი ვერ მოასწრო, ვერ დაამთავრა განზრახვა, სიკვდილით ხომ-კი შეამოწმა?

აჰა, ეს უნდა წავიღოთ ჩემო ძმებო, გავასვენოთ, მისი ცოცხალი, მშვენიერი აგებულობა—მხატვრობის სამკაული, დღეს ულმობელი სიკვდილისაგან უსიტყვო, ცივი, დადუმებული,—უნდა ერთხელ და საუკუნოთ ვასტუმროთ ლეჩხუმს, მის მშობელ მიწას, მის აღმზრდელ სოფელს და მისავე სამარეს მივაბაროთ.

დანაშაულობა არს ჩემგან ასეთი სიტყვა და გაკადნიერება წინაშე განგებისა... მაგრამ ნაღვლით აღვსილი გულის ენა ბევრს რასმეს წამოროშავს: უსამართლობაა ამისი ასე უდროვოთ და უწყალოდ მიწად ქცევა.

ჩემო ბიძია! მე ჯერ არ გეთხოვები, საუბედუროდ ამისი დროც მალე დადგება!.. მაგრამ ლეჩხუმლებმა დამავალეს, შენს გაცივებულს, ახლო წარსულში კაცთმოყვარეობით მგზნებარე გულ-მკერდზე, ნიშნად ღრმა გლოვისა—დავადვა გვირგვინი შემდეგის ზედწარწერით: „ჩვენს შვილს, ჩვენს სანდოს, ჩვენგან რჩეულს“—ლეჩხუმისაგან.

# ახალი ამბავი.

გუშინ, ქუთაისის ქუჩებზე ჰყიდდენ დია ბარათებს. ბარათების გაყიდვაში დიდ მონაწილეობა ღებულობდენ სათნოების დანი. ბარათების გაყიდვიდან წმინდა შემოსავალი მოხმარდება კავკასიის ჯარის კაცთათვის თეთრეულების დამზადებას.

✦ 2 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. კრებას თითქმის ყველა ხმოსანი დაესწრო. კრებამ 17 საქმეში მხოლოდ ინჟინერ ქურდიანის ხელშეკრულობის გარჩევა მოასწრო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ხელშეკრულობა მიიღო.

✦ ქალაქის გამგეობამ ჯარში გაწვეულთა ოჯახების წევრების დასარიგებლად, ხაზინიდან ფული უკვე მიიღო. ფულის დარიგებას გუშინ, 3 მარტიდან, შეუდგენ.

✦ როგორც სოფ. კიცხიდან გვწერენ, კვირას, 1 მარტს, საქართველოს ეროვნული იდეალების გამომხატველის, დეპუტატ ვარლამ გელოვანის სულის მოსახსენებლად ადგილობრივ ეკლესიაში დიდძალი ხალხის თანადასწრებით მღ. ბუაჩიძემ წირვა და პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდის გადახდის წინ მამა ბუაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო განსვენებულის მოღვაწეობა.

✦ ჭიათურის შავიქვის საბჭოს თავჯდომარე ამჟამად პეტროგრადში იმყოფება, საბჭოსათვის საჭირო სესხის გამოსათხოვათ.

✦ სამინისტროს განკარგულების თანახმად და ქუთაისის გუბერნატორის წინადადებით ქალაქის გამგეობამ დაადგინა საფიჩხიის ქალაქის სასაფლაოზე მოაწყოს „სამმო სასაფლაო“, ბრძოლის ველზე მოკლულ ჯარისკაცთა დასასაფლავებლათ.

✦ ხუთშაბათს, 5 მარტს, დ. ახალსენაკში გაიმართება „აკაკის საღამო“. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის „პატარა კახის“ მეორე მოქმედება. წაიკითხვენ მისავე ლექსებს.

✦ როგორც გავიგეთ, აბრეშუმის თესლი საკმაოთ შემოვიდა და ის ხმები, რომ წელს თესლი არ იქნებაო, სიცრუე გამოდგა.

✦ ხვალ, 5 თებერვალს, ქუთ. ქალაქის თეატრში გაიმართება ახალგაზდა მგოსნის გრიშაშვილის საღამო 5 განყოფილებით: 1) დ. უზნაძე წაიკითხავს: „ხელოვნური შემოქმედების რაობა“, 2) დადგმული იქნება ცოცხალი სურათები „თორნიკე ერისთავიდან“, 3) ჩიტო შარაშიძე წაიკითხავს: „ჩვენი მოზარდი თაობა“, 4) მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ გუნიას ერთ მოქმედებიანი მხიარული კომედია „ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ“? და 5) გაიმართება დიდი სალიტერატურო განყოფილება. საკუთარ ნაწერებს წაიკითხავენ: პ. იაშვილი, შ. დადიანი, გ. ტაბიძე, ა. ჰიჰინაძე, დ. მესხი, ვ. ბალანჩივაძე, აკაკი ფაღავა წაიკითხავს ჯაჯუ ჯორჯიკიას ახალ მოთხრობას. გრიშაშვილი წაიკითხავს ჯერ დაუბეჭდავ ლექსებს.

✦ პურსა და ხორცზე ქალაქის გამგეობის მიერ მომატებული ფასი ქალაქის საბჭომ არ დაამტკიცა. ნიხრის გარჩევა მიენდო ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ცუდი პურის გამოცხობისათვის მეფურნე პოლოსა ჩოროღვიანს ოქმი შეუდგინა.

ამავე ზედამხედველმა „მწვანე. ბაზარში“ ოქმი შეუდგინა იოსებ არჯევანიძეს ვაჭრობის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ ხვალ ოლქის სასამართლო გაარჩევს ვლადიმერ შენიას, უდინა ვისოჩინისა და სხვების საქმეს.

✦ კვირას, 8 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქუთ. ხელოსანთა ბანკის წევრთა წლიური კრება. გასარჩევათ დანიშნულია გასული და მდგომარე წლების ანგარიშები.

✦ 4 მარტს, საოლქო სასამართლო შემდეგ სისხლის სამართლის საქმეებს გაარჩევს: სიმონ გვაზავას, რაჟდენ დანელიას, მელიტონ კვარცხავას, გერასიმე ერმეიშვილისას და სხ.

✦ მაძებარმა პოლიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა შალვა ნებიერიძე.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ლუკა პეტრეს ძე ჩიმაკაძემ დაჰკარგა 8 იანვარს ქ. თფილისის სადგურზე ხუთწლიანი საბაშბორთო წიგნი ვსთხოვთ გამოგვიგზავნოს ქუთაისის ხონის ბირჟაზე ერისტო ჰავჰანიძის სავაჭროში, რისთვისაც შესაფერ საჩუქარს მიიღებს.

### თეატრი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, გრიშაშვილის საღამოზე ამზადებს ცოცხალ სურათს, ინსცენირებულს აკაკის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“.

— როგორც თბილისის გაზეთები გადმოგვცემენ, გრიშაშვილის საღამოს იქ დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია, ამის გამო გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ ბ. გედევანიშვილის წერილიც იყო.

— შაბათს, 7 მარტს ამხანაგობა სახალხო წარმოდგენას მართავს. „უბედურება“ დ. კლდიაშვილისა და „ქრისტინე“ პ. ირეთელისა.

## პატარა ფელეტონი.

### სამშობლოს

... შენ რომ ქალწული იყო—შეგიყვარებდი!..

ჯერ შეგიყვარებდი და მერე თავს მოვიკლავდი, რომ ჩემს სიკვდილს შენის მშვენიერის სუნთქვით განეცადა სიცოცხლის სიტკბოება.

ხელთ—ქმნილი რამ, რომ იყო, ანუ ხორცშესხმული,—გულს გავიპობდი და შიგ მოგათავსებდი ვით საუნჯე ღვთიური, ხელ უხლები...

... და თუ შენ, დიადი, ამაყი და ზვიადი ჩემს გულში ვერ მოთავსდებოდი,—გულს გავიპობდი, რომ ჩემის სისხლით განმებანა უცხოთა ტლანქის ხელებით ჩირქმოცხებული შენი სხეული.

მაგრამ... ოცნება ხარ, სიმბოლო!... სიმბოლო ჩემის სარწმუნოებისა, ჩემის აზროვნებისა, მისწრაფებისა, ჩემის ყოფისა!

ყოფა ჩემი, ჩემი სარწმუნოება, აზროვნება, მისწრაფება ჩემი არა არს შენს გარეშე!

თუმც ასეთ ხარ—ხელთ უქმნელი, მიუწდომი,—მაინც ჩემს პაწია გულში გატარებ!..

ჩემს გულში,—იმიტომ, რომ ეს გულიც შენი დიადი, წამებული სხეულის პაწაწინა ნაფლეთია...

ყოველი წვეთი ჩემის სისხლისა შენგან დაღვრილ ცრემლთა ნაწილია...

ყოველი ჩემი ოცნება, ფიქრი, მისწრაფება შენგან გმირულად განვლილ დღეთა ზღაპარია...

... ამ ზღაპრის ხორცშესხმა, მისი სინამდვილეთ ქცევა...

აი ჩემი სურვილი!

ნეტა შემეძლოს ხელთ აგიყვანო და გულზე მიგიკრა...

ან ვიქცე ურიცხვ ატომათ, დაჰბეროს ქარმა და შენს მშვენიერს, თვალწარმტაც, ვარდ ყვავილებით შემკულ გულ მკერდზე მიმაბნიოს. რომ არ დარჩეს არც მთაბარი, არც მინდორ-ველი, არც ზღვა და ხმელი, არც მდინარე თუ ტბაჰყანტობი,—რომ ზედ არ დაეცეს..

ეჭვი ხომ არ შეგაქვს ჩემს სიტყვებში?

გევედრები—ნუ!

განა იქნება ვინმე—შენის მკერდიდან ძუძუ ეწოვოს და არ უყვარდე?!

შენის გულიდან გადმონადენი ანკარა ეჟღნოს.

შენის ნიავით ესუნთქოს და სძულდე?!

და თუ არიან ასეთები—გთხოვ—შეუნდე, აპატიე!!

**ვალ. შალიკაშვილი**

## დაბა-სოფელი.

**ქალ. ოზურგეთი.** აქ არსებობენ შემდეგი კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, სამკითხველო, საქალო და სავაჟო სასწავლებლები და სხ.

სამკითხველო საკმაოთ მდიდარია ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებით. ხოლო ნაკლებათ აქვთ ქართული წიგნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამკითხველო მოკლებულია ქართულ ელფერსა. ყოველგვარი წარწერა და წიგნები რუსულ ენაზეა ნაწარმოები.

სამკითხველო **აკაკის** სახელობაზეა დაარსებული. ყავს 40 დღიური მკითხველი, მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება. ჯეროვანათ ვერ არის დაყენებული ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე.

ჟურნალ-გაზეთების აგენტი ბ. თალაკვაძე, კარგს იზებს თუ მეტი ენერგიით მოეკიდება ამ საქმეს.

— თეატრის შენობა ეკუთნის კერძო კაცს ბ-ნ გ. გოგიტიძეს. შენობაში გამართული აქვს ელექტრო-თეატრი. თუ მოისურვებენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას, რაც უნდა საქველმოქმედო მიზნით იყოს, ის 40 მანეთ ნაკლებ არ ვის არ დაუთმობს თეატრის შენობას, და ეს გარემოება ცოტა არ იყოს აფერხებს წარმოდგენების ხშირათ გამართვას.

**სკოკი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

### I.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ვცან რა უკიდურესი მდგომარეობა ჩვენი თანა მოძმეების ქობულეთლებისა და მეგრელებისა ვსწირავ ჩემი მცირე სახსრებიდან ერთ თუმან ფულს მათდა სასარგებლოთ.

ვთხოვ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას გადასცეს დანიშნულებისამებრ ხუთი მანეთი ქობულეთლების და ხუთი მანეთი დამშეული მეგრელების სასარგებლოთ.

**ომაინ იესეს ძე იოხელიანი.**

### II.

ნება მიბოძეთ თქვენი პატივ-ცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა უძღვნა ქ-ნ ლიზა პავლეს ასულს ხოჯევანიშვილს რომელმაც კეთილ ინება და ჩემი ბავშვი ალექსანდრა ებრალიძე, უფასოთ მიიღო სასწავლებელში, რითაც საბრალო და უსახსრო ობოლს შეძლება მისცა, საშუალო სწავლის მიღებისა.

პატივისცემით **სონა ებრალიძისა.**


## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ გ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონელის**
**ფ. დ. ერქომაიშვილი და ა—ბის**

ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში**. სავაჭრო **გაიხსნა** თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედნის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.

**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**

საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.

პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—10

## „სასოფლო გაზეთი“

მომავალ მარტის პირველ რიცხვებში განაახლებს გამოსვლას. 3—3

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა **„ნ. უდალოვი და ი. ვასილოვი“-ს**

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ **მანტოსათვის:**

„ფაი—რენე“ და „ფაი—შიკ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.

**ფასები შეუფარებლათ** თ.


სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ქორქიძისა—ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.